სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება #1122/06
(SMP230003335)

ქ. თბილისი **2023 წელი**

ერთი მხრივ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღინაძისსახით და მეორე მხრივ, ერეკლე თაბუკაშვილის (პ/ნ 01024080098) სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) ,,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები
1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი
2.1 სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სახალწლო ღონისძიებების ფარგლებში გასამართ ღინიძიებაში, მუსიკალური ბენდის მომსახურების შესყიდვა. ექსკლუზიური უფლებამოსილება (SMP230003335) CPV92312240 - ესტრადის მსახიობების მიერ გაწეული მომსახურებები

2.2 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა

#	**შესყიდვის ობიექტის დასახელება**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**სრული ღირებულება**
1	მუსიკალური ნომერით მომსახურება	1 დღე	2552,00	2552,00
			სულ ჯამური ღირებულება:	2552,00 ლარი

3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, შეადგენს 2 552,00 (ორი ათას ხუთას ორმოცდათორმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს ყველა გადასახადის ჩათვლით.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს .

4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
4.1 ხელშეკრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თსუს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი.
4.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

4.3 ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის/გაწეული მომსახურების და მასთან დაკავშირებული ხარისხის კონტროლს.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2 მიღება-ჩაბარებისაქტის გაფორმებას შემსყიდველი განახორციელებს: ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1 მიმწოდებელი მომსახურების გაწევას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მონოჰოლი.

6.2. მომსახურება გაიწევა 24 დეკემბერს.

6.3 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების პირობებშიცვლილებები ურთიერთშეთანხმების გარეშე.

7.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3 ანგარიშსწორება მოხდება ხელშეკრულების მე-5 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის განმავლობაში;

7.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.6 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებული ადაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის

მოქმედების დასრულების-თანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე მხარეების მხრიდან ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

13.2. შემსყიდველის მხრიდან აღნიშნულ შესყიდვაში მონაწილე და წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირ(ებ)ი და ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ერეკლე თაბუკაშვილის
მისამართი:	**მისამართი:** ქ.თბილისი;
ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ. №1	
რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
	სს"საქართველოს ბანკი“
საკუთარი სახსრები	ა/ნ: GE84BG0000000538344254
საიდენტიფიკაციო კოდი:	**პ/ნ**01024080098
204864548	

Erekle Tabukashvili 01024080098

Digitally signed by Erekle Tabukashvili
Date: 2023.12.22 16:49:07

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Digitally signed by Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date: 2023.12.22 09:34:47 +04'00'